აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 19

12 ივნისი 2004 წ ქ ბათუმი

სხდომას
თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა.

სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე, ლევან ჩავლეიშვილი, სიმონ ჩხაიძე, მ. წულუკიძე.

სხდომას არ ესწრებოდა ქეთევან ჯიქია

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა სიმონ ჩხაიძემ განაცხადა, რომ დღის წესრიგთან დაკავშირებით აქვს ერთი შენიშვნა, კერძოდ დღევანდელი დღის წესრიგში შევიდეს დადგენილების პროექტი საარჩევნო კომისიების მიერ სპეციალურ სიაში შესაყვანი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სიის შედგენის ახალი ვადის განსაზღვრის თაობაზე. აგრეთვე უსკო-ს იურიდიულ სამსახურში შევიდა საჩივარი საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის, ნ. ზოიძის მიერ, რომლის განხილვაც უნდა მოხდეს დღევანდელ სხდომაზე.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -8
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება სამხედრო მოსამსახურეთა მუდმივი დისლოკაციის ადგილებში საარჩევნო უბნების გახსნის შესახებ;

2. განკარგულება ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

3. განკარგულება 2004 წლის 20 ივნისის პარტიების/საარჩევნო ბლოკების რიგითობის დასადგენად გამართული კენჭისყრის შედეგების დამტკიცების შესახებ;

4. დადგენილება საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ სპეციალურ სიაში შესაყვანი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სიის შედგენის ახალი ვადის განსაზღვრის თაობაზე;

5. სხვადასხვა

1. დადგენილება სამხედრო მოსამსახურეთა მუდმივი დისლოკაციის ადგილებში საარჩევნო უბნების გახსნის შესახებ

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი სამხედრო მოსამსახურეთა მუდმივი დისლოკაციის ადგილებში საარჩევნო უბნების გახსნის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი ფაღავამ, სიმონ ჩხაიძემ, გიზო მჭედლიძემ

უმაღლესი საარჩევნოკომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -8
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ზოგიერთი

საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრები გაეცნენ განკარგულების პროექტით დასამტკიცებელ ფორმებს, რომელიც მისაღები აღმოჩნდა კომისიის წევრთათვის.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -8
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

3. განკარგულება 2004 წლის 20 ივნისის პარტიების/საარჩევნო ბლოკების რიგითობის დასადგენად გამართული კენჭისყრის შედეგების დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი 2004 წლის 20 ივნისის პარტიების/საარჩევნო ბლოკების რიგითობის დასადგენად გამართული კენჭისყრის შედეგების დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა სიმონ ჩხაიძემ, გიზო მჭედლიძემ, ლევან ჩავლეიშვილმა, მამუკა წულუკიძემ, გუგული დუაძემ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებში მონაწილე პარტიების/საარჩევნო ბლოკების რიგითობის დასადგენად გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო პარტიის ყველა წარმომადგენელმა, რაც დაფიქსირდა ადგილობრივი ტელევიზიის საშუალებით.

კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -8
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი

4. დადგენილება- საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ სპეციალურ სიაში შესაყვანი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სიის შედგენის ახალი ვადის განსაზღვრის თაობაზე.

მოისმინეს:	უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა დადგენილება საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ სპეციალურ სიაში შესაყვანი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სიის შედგენის ახალი ვადის განსაზღვრის თაობაზე.
აზრი გამოთქვეს:	კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისათვის შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ სპეციალურ სიაში შესაყვანი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სიის შედგენის ვადად განესაზღვრათ 2004 წლის 18 ივნისი.

კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -8
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

5. სხვადასხვა

მოისმინეს:	კომისიის წევრმა სიმონ ჩხაიძემ განსახილველად გამოიტანა უსკოს თავმჯდომარის ირაკლი ფაღავას სახელზე შემოსული საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის, ნ. ზოიძის საჩივარი, რომელსაც 2004 წლის 6 ივნისის №31 განკარგულებით უარი ეთქვა, როგორც საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს კანდიდატის რეგისტრაციაზე, საინიციატივო ჯგუფის მიერ ფონდის გაუხსნელობის გამო. მან აღნიშნა, რომ მას დარღვეული ჰქონდა ვადები: როგორც უსკოში გასაჩივრების,ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში მიმართვის.
დაადგინეს:	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის განკარგულებით უარი ეთქვას საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ნ. ზოიძეს საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატის მანუჩარ დევაძის რეგისტრაციაში გატარებაზე

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ი. ფაღავა
კომისიის მდივანი	გ. მჭედლიძე